


სალიცადი
პირველი2103ლ0160
1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოცის ცუთაბათობით

ფასი 1 ლარი

ხელის მოწერა: ტფილის, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიომების სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისში, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათი თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად... 6 მან. —
თითო ნომერი — 15 კაბ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს
დასაბჭედათ გამოგზავნილ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია“
პირველის ივლისიდამ პირველს მომავალს
იანვრამდე. ფასი ამ ექვსის თვისა ოთხი მანეთია.

საქიებელი: I. ადმოსავლეთის ომიანობის შესახებ
II ომის ამბები. — III. საპოლიტიკო მიმოსილება. —
IV ოსმალოს საქართველო. — V. ბრძოლა რომის
დასაპურობლად (შემდეგი). — VI. გაზეთებიდამ ამო-
კრეფილი ამბები.

აღმოსავლეთი ომიანობის შესახებ.

ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ, როგორც
მოგეხსენებათ რუსეთის საქმე მაღან კარგათ მიღის.
იქაურმა მხედრობამ ისეთი ხერხი და ოსტატობა
გამოიჩინა, რომ სტაბოლის მთავრობა ცოტად
თუ ბეჭრად დააფიქსო. მეტადრე ბალკანის მთებზე
გადასვლამ მეტად შეაწესა თხმალეთი და დააფიქრა.
მართლა და მაღან მოხერხებული და ოსმალებისათვის
მოულოდნელი საქმე იქო ეს გადასვლა. ტირნოვიდამ
ბალკანის მთებზედ დიდი გარდასაგალი გზა გაბროვზედ
მიღის და ბალკანის იქითა მხარეს სოფ. შიბას და
ქაზანლიკაში ჩადის. რადგანაც ტირნოვიდამ ბალკანის
მთებზედ მხოლოდ ეს ერთი გზაა ფართო და ჯარისათვის
გასავლელი, ოსმალებსაც ეგონათ, რომ რუსის ჯარი
უთუოდ ამ გზაზედ გადივლის, რადგანაც სხვა გზები
უიწრო ბილიკებია და მნელი გასავლელია ჯარისათვის.
მაგრამ შექსცდენებ. დენერალმა გურგომ თავისი
გუნდი ისეთ გიწრო ბილიკებზედ და ოდრო-ჩოდრო
ადგილებზედ გადიუვანა, რომ არც ერთი ოსმალო არ

დახვედრია, და ეველასთვის მოულოდნელად სოფ.
ნანკიოის მივიდა, ბალკანის მთების ქით. ენდა შიბაც
რუსების ხელშია და კაზანლიკიც, ე. ი. ჭემოხსენებული
დიდი გზა, რომელზედაც უმთავრეს ჯარს შეეძლება
დაუბრკოლებლივ გადაიაროს მთები, დაუბრკოლებლივ
— მეთქი რადგანაც თხმალოს ჯარი ამ გზაზედ ვერაფერს
დაბრკოლებას ვერარ მისცემს რუსებს. რაკი უმთავრესი
ჯარი მოეწევა დენ. გურგოს, რუსებს ცოტადა უკლიდებათ
ადრიანაპილამდე, რომელსაც თხმალეთი დიდს
სიჩქარით ამაგრებს.

ერთის სიტყვით რუსეთის საქმე ბალკანის ნახევარ
კუნძულზედ მაღან კარგათ მიღის მეთქი, და ამის
გამოისობით არამც თუ მარტო თხმალეთის მთავრობა
არის შეწუხებული, არამედ სხვა სახელმწიფოებისაც
დიდი მოძრაობა და ფაცა-ფური ეტებათ. ეს მოძრაობა
ჯერ დუნაის გადასვლის თაობაზედ გაიმართა და
ენდა რადა თქმა უნდა, რომ უფრო გამლიერდება,
რაკი რუსის ჯარი შიგ თხმალოს შესავლში
დაიწეობს სიარულსა. ამას წინად ხმა გაფარდა,
რომ ავსტრო-ვენგრია რუსეთის წინააღმდეგ ზაგს
დაემებს ინგლისთანაო, მაგრამ გერმანია უშლისო.
ბისმარქს თითქო ეთქვას, რომ თუ ავსტრია ბოსნიასა
და სერბიას დაიწერსო, გერმანია ბოგემიაში შეგაო.
მართალია ეს თუ არა, სწორედ არგინ იცის. მაგრამ
ის კი ნამდვილია, რომ ავსტრია ჯერ-ჯერობით
არავითარ მოქმედებას რუსეთის წინააღმდეგ არ
იჩენს; იგი თვის წინააღმდეგობას მხოლოდ სიტყვით
ადიარებს და იძახის—მე არც იმას შევიწენარებო, რომ
რუმინიამ დუნაის იქითა ნაპირას რომელიმე ადგილი

დაიხემოსო, არც სერბიის გამატებასათ და არც იმასათ, რომ მდ. სავაჭედ რომელიმე მძღვანელი სახელმწიფო გაიმართოს. ასელა თქვენ თითონ გამოიცანით ეს წინააღმდეგობასა ნიშნავს თუ სხვას რასმეს. მხოლოდ ის კი არ უნდა დაივიწყოთ, რომ არავის არა პსერტს თავის მეზობლის გამმდავრება და გადიდება. გარდა ამისა ზოგი ამბობს (იქნება ჭორი იქას), ვითომ ავსტრიას დიდი ხანია რადაცა შირი მიუწია რუსეთისათვისათ.

მართალია, ავსტრია დიდ შზადებაშია და ჯარიც გამოიყანა სამზღვარზე, მაგრამ მას ჯერ-ჯერობით არავითარი საბუთი არა აქვს ეხლავე ჩაერიოს საქმეში და ეხლავე დატტიროს ბოსნია და ჰერცეგოვინა. ავსტრიის მთავრობასთან დაახლოებულ ზირთა სიტევით ავსტრიის ზოლიტიკა ჯერ-ჯერობით შემდეგში მდგომარეობს: ორში ერთი—ან ოსმალეთი დამარცხებული გამოვა ომიანობიდამ და მისი სახელმწიფო ფერს იცვლის, ან არა და ოსმალეთი გაიმარჯვებს და მისი განწეობილება და საქმე იგივე დარჩება, როგორიც აქამდისინ იქ. ზირგელ შემთხვევაში ავსტრი-ვენგრია მაშინევე დაიჭერს ბოსნიასა და ჰერცეგოვინას და თავის მფარველობის ქვეშ აიგვანს იმავე საბუთით, რა საბუთითაც ამ ქამად რუსეთი ბოლგარიის ისევ ბერზე მოქმედობს. მეორე შემთხვევაში თუ კი ოსმალოს საქმე არ შეიცვლება, ავსტრიას არავითარი მიზეზი არ ექნება დაიჭიროს ჟემოხსენებული ქვეუნები. მაშასადამე, ვიდრე ოსმალეთის საქმე ასე თუ ისე არ გადაწედება, ავსტრიისათვის სრულებით საჭირო არ არის ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაჭერა, და საქმეში გარევა.

მართლაც რომ ავსტრი-ვენგრიაში არავითარი წინააღმდეგობა არ გამოიჩინოს რუსეთისადმი, საკვირველი აქ არა იქნებარა. ავსტრი-ვენგრიას თავისი ჭირი აწესებს: მისი მთავრობა მხოლოდ იმასა ზრუნავს აგები როგორმე ჩემი ორად გაუთვილი სახელმწიფო შევიმაგროვო და ან ერთი ნაწილი არ გამეცალოს ხელიდგან, ან მეორე და ამის გამო ხან ერთს შექცინის ზირში ხან მეორეს. ამ სახით მის მოქმედებას ორწეალ-შუა დგომა ეტეობა. საზოგადოება რომ რომელსამე მიღრევილებას დაადგება, მთავრობაც იმ მიღრევილებას აჭევება ხოლმე, თითქო იმავე აზრისა იქას; გულში კი ერთი და იგივე ზრუნვა წადილი აქვს:

რაცა მაქვს ის შევირჩინოვო და თუ სხვამ რამე შეიმინოსო აგები მეც რასმეს გამოვრჩეო. ამის

შემდეგ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ავსტრი-ვენგრიაში რუსეთისადმი წინააღმდეგობა არ გამოიჩინოს, თუ კი ხედავს რომ ეს წინააღმდეგობა მის წადილს ვერ აუსრულებს. თუ ავსტრია, იტავის მკითხველი, რუსეთის წინააღმდეგი არარის, მაში რაღათ იმუქრება და ამბობს: რა დღესაც სერბია ოში ჩაერევა, იმავე დღეს ჩემ ჯარს სერბიაში შევიეგანო? ზირგელი ქსაროვინ უშლის სერბიას ჩარევას ოში, ამისი არც მე ვიცი ნამდვილად, არც შენ, მკითხველო. მეორე ისა, რომ ავსტრი-ვენგრიაშისათვისაც ის არის სამჯობინარი რაც უფრო ცოტა მოცილე გამოჩნდება მაშინ, როცა საქმე თავის დასასრულზე დიდგება. სერბიელი ამბობენ: ამოდენა მსხვერპლი დავსდეთო, ამოდენა სისხლი დავდარეთო, ამოდენა მამულის შვილი დავპარგეთო სლავიანების განთავისუფლებისათვისათ, და ნუ თუ მომავალში ჩვენც ჯეროვანი ადგილი არ გვექმნებაო საქმის გადაწევეტილო. აბა რა სასიამოვნოა ამისი გავანება ავსტრიისათვის? რუმინის საქმეც ამ გვარია. რუმინიელები ამბობენ: ეს რა სულელურ მდგომარეობაში ჩავცეიდითო: ოსმალეთს ომი გამოუცხადეთო და გვეუბნებიან დუნაის იქითა ნაპირას კი ნუ გადახვალთო. რუმინიელებსაც უნდათ საქმის გადაწევეტის დროს თავისი ხმა იქონიონ. რასაკვირველია არც ეს არის სასიამოვნო მოცილეთათვის. რუსული გაზეთები კი თავისას იმახია: დახე ამ წეველ ავსტრიას, აკი აბრკოლებს სერბიას და რუმინიას რომ არ მოგვეშველონო. ის კი არათუ.... მაგრამ ამაზე სხვა დროს მოვილაბარაკებთ.

დუნაის მხედრობის წინ წადგომაშ ინგლისაც ეური აცხმეტინა, როგორც ეტეობა მისი საომარი ხომალდები თან და თან სტამბოლს უახლოვდება, მაგრამ ჯერ კი არავითარი გარდაწევეტილი მოქმედობა არ გამოუჩნია. რუსის ჯარი საცაა ადრიონაშოდამდე მივა და ინგლისი რაღას უცდის, თუ კი ოსმალეთისათვის თავი სტკიფა? ნუ თუ ვევლას წინადვე ჭრინია გამოანგარიშებული, ვინ რა უნდა ირგუნოს?

ინგლისის ოფიციალური გაზეთები სულიმას იმახიან. რომ ინგლისი აი ეხლა უნდა ჩაერიოს ოშიორ, რადგანაც მერე გვიანდა იქმნებაო. სხვა სახელმწიფოებმაც რომ ხმა არ ამოიღონ და ინგლისი მარტოც რომ დარჩეს მაინც რუსეთს წინ უნდა დაუდგესო და თვისი სარგებლობა დაიცვას; მთავრობამ ეხლავე უნდა გამოუცხადოს რუსეთსათ, რომ მას სტამბოლში ინგლისის ჯარი

დაუზღდებათ. მეორეს მხრით სხვა ჭოშიერი განეთები კი ამბობენ, რომ რუსებს სტამბოლამდე ჯერ ბევრი აკლაითო და ინგლისის სარგებლობას ჯერ არაგითარი უნდა არ მოჰლისო. ულველივე ეს ასალი ამხავი არ არის. მიიღებს ინგლისი მონაწილეობას ომში თუ არა? ეს საგანი დღესაც იმავე საბურგელ ქვეშ არის, როგორც ამ სამის თვის წინად იქო.

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი .

— 5 მეათათვეს დენერალ გურკოს სოფ. შიბა დაუშერია და ის მთის დიდი გადანავალი გზა, რომელიც ამ სოფელზე არის გაუვანილი.

— 16 მთათათვეს დენერალი ლორის-მელიქოვი ქურუქ-დარის ბანაკიდამ გამოვიდა და მტრის ბანაკის სიმაგრენი დაუთვალიერებია ვიზინ კევამდე-დიდ იაგნის მთასთან შეტაკებია მტრის და ჩვენებს გაუმარჯვნიათ. მთასთან შეტაკებია მტრის და ჩვენებს დაუმარჯვნიათ. ჩვენი ერთი აფიცერია მკვდარი და 4 დაჭრილი, 46 ჯარის კაცია დაჭრილი და 4 მკვდარი.

— რუმინიის ერთი დივიზია დუნაის იქითა ნაპირას გადასულა და ნიკოსიას გუმაგად უნდა დადგესო.

ოსმალოს სამხედრო მინისტრი გაუგ ზავნიათ სტამბოლიდამ შემდაში იმის შესატეობლად თუ რა მიზეზი იქო, რომ რუსები გერე ადვილად გადვიდნენ დუნაის. ამ საგანზედ ინგლისის განეთი „Standard“ ია რას იწერება: „რუსები რომ დუნაის გადავიდნენ დაბრკოლებლად და სწრაფად მიიშართნენ სისტოვისაკენ, ამ ამბავშა მალიან შეაწესა სტამბოლი და სრულად დაავიწეა ის კაი ამბები, რაც ამ ბოლო დროს მცირე აზიდამ მოვიდა. ერთი ახალგაზრდა ინგლისის აფიცერი, რომელსაც თავისის თვალით უნახავს რუსთა გადასვლა დუნაიაზედ. ამბობს, რომ ოსმალების დაუდევნელობა ამ შემთხვევაში გაუგებარიათ. სისტოვაში იქო ათასი კაცი ოსმალო, ახალის თოფებით დაიარაგებული, და რამდენიმე ზარბაზანი. მაგრამ ამათ არაფერი დაბრკოლება არ მიუწიოთ რუსთა თვის, რომელიც დიდის ნავებით გამოდიოდნენ დუნაის, მაშინვე დაანებებს თავი ქალაქსა და წავიდნენ ასე, რომ თოფიც არ უსროლიათ. ოსმალოს ჯარის უფროსი იმით მართლულობს თვის, რომ მე ბრძანება არა მქონიათ რუსის ჯარს შევბმულიერიო. სტამბოლში კი ამ უფროსს აბრალებენ, რომ რუსებისაგან მოსეიდულიათ ასე როგორც არტაანის კამენდანტიო. ხონთქარი ამ ამბავზედ მალიან ცუდ გუნებაზედ შეიქმნა და მაშინვე შეპერა მინისტრები თვის

სასახლეში. ხონთქარმა ჰყითხა როგორ მოვადაო აბდულ ქერიმს, რომელსაც სამასი ათასი (?) ჯარი ჰყავს, რომ მაგ რიგად გადმოუშო რუსები და ოსმალოს საომარი სახელი გაუტეხაო. მინისტრები შასუხად მიუგეს, რომ ჩვენ არა ვიცით რაო, ეს აბდულ-ქერიმის საქმეათ. ხონთქარმა მაშინვე ტელეგრაფით მოჰკითხა აბდულ ქერიმს ამისი შასუხი. აბდულ-ქერიმის შასუხი მიახლოებით ეს იქო: „ვევედრები თქვენს დიდებულებას არ შეპსტუხდეთ მასზედ, რომ რუსები დუნაის გადმოვიდნენ; ამას არასფერი მნიშვნელობა არა აქვს. მე მალიან კარგი ბლანი მაქს შედგენილი, ისეთი შლანი, რომლისაგამო რუსები უებელად დამარცხებიან სრულიად ასე რომ არც ერთი იმათი კაცი, დუნაიაზედ გადმოსული, თავის ქვევანაში ცოცხალი ვედარ დაბრუნდება. მხოლოდ ამას ვთხოვთ თქვენის დიდებულებისაგან ნება მომცევთ ჩემი განზრახვა ავასრულო და სტამბოლის ბატონებს უბმანოთ, რომ ნუ ერევანის ჩვენ საქმეში და ნუ მიშლიან ჩემის განზრახვის აღსრულებას.“ ამ შასუხმაც ვერ გაუკეთა გული ხონთქარსა და ამიტომ რამდენჯერმე ტელეგრამმით მთასთხოვა აბდულ ქერიმს შენი შლანი მაცნობელ, მაგ რამ აბდულ-ქერიმი დიდს უაზტედ დადგა და მოჰკიტერა, რომ ხონთქარი ან სრულიად მე უნდა მენდობოდესო, ან არა და სხვა გამოგზავნოს ჩემს აღი ილასათ. მაშინ ხონთქარმა თვით მოინდომა ლაშქარში წასვლა, რომ აბდულ ქერიმის შლანი გაესინა, მაგრამ რედიფ-ფაშამ ურჩია შენი ამ ღროს იქ წასვლა ცუდიაო, მე გამგზავნეო, უკვლაფერს შევიტეობო და გაწნობებო. სხვა მინისტრებმაც, რომელთაც რედიფ-ფაშის თავიდამ მოშორება იამათ, ურჩიეს რედიფ-ფაშის გაზავნა. ხონთქარმა მცირეს ტოკიის შემდეგ ამაზედ თანხმობა გამოაცხადა და რედიფ-ფაშა აბდულ ქერიმთან გაისტუმრა, რედიფ-ფაშას ხონთქარმა ნება მიშვენა შეიტევ აბდულ ქერიმის შლანით და რაც საჭიროდ დაინახოვო, შეპსცვალე.

— ზივინის ამის თაობაზედ აი რას იწერებიან ინგლისურის განეთში „Times“: „დილის 11-ს საათზედ რუსის ათი ბატალიონი ოც-და-ერთის ზარბაზნით იერიმით მოვიდა ოსმალოს სიმაგრეზედ, სადა შეიდმეტი ბატალიონი იქო ექვსის მინდვრისა და ექვსის მთის ზარბაზნითა წინამდღომლობის ქვეშ აზტრუმის გუბერნატორისა იზმაილ ფაშისა და ფაზი-ფაშისა (დენერალ-კოლმანი). ოსმალოს ჯარმა იერიშს გაუმლო დაბამებამდე და დადამების შემდეგ ომიც შეპსტედა. რუსებს უკან დაბრევინეს და დადამების შემდეგ ომიც შეპსტედა. რუსებს უკან დააწევინეს და დიდი ზარბაზნი მიაუქნეს. რუსების ზარბაზნი გამორიცხულია 1500–2000 კაცამდე. რადგანაც მუსა-ფაშამ თავის ათასის წენოსანითა

ომს ვერ მოახწრო, ამის გამო ოსმალებს მოუცდათ სრული სარგებლობა გამოეტანათ ამ გამარჯვებიდამ. შედარებით ოსმალებს ნაკლები ზარალი მიეცათ, სულ 600—800-მდე კაცი დაუზარალდათ. ჯარის-კაცთა ძალიან კარგად იომექს, ღენერალ კოლმანის (ფაზი-ფაშისა) ვაჟეაცობას და გამგეობას უველანი აქებენ.“

— ინგლისის გაზეთში „Morning-Post“ ჰსწერია: მას აქედ, რაც რუსეთის განხერახვას ფარდა აქნადა ბოლგარიელთადმი რესის ხელმწიფის ცირკულიარითა, მას აქედ რაც რუსებმა რუსებუმი ზარბაზნების სროლით სწერდოთა სადგურნი არ დაინდეს და სისტოვი (?) აიკლეს შეუბრალებლად, ჩვენ იმედი გვაქვს რომ უოუელივე ეს დასაწევის იმისა ხალხთა განთავისუფლებისათვის გააჭიანტავს უოუელს ქვეს შესახებ ინგლისის და რუსეთის ბოლიტიკისა. ავსტრიისა და ინგლისის შერით შეუნდობლი ცდომილება იქნება, რომ ამათ მხარი არ მიაჰქინენ. ერთმანეთს იქ, საცა ამოდენა საერთო ინტერესებია ფეხზედ წამოუქნებული ერთად მოქმედებისათვის.“

— ამ ბოლოს დროს იმისთანა ხმა დავათდა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ მართალი გამოდგა ამბობენ ნამიქ-ფაშას რომელიც რეგისტრაციას თან გააჭიანტავა. შემდეს ერთი მეტად საჭირო საქმე მიანდესო. ამისთვის მიუნდვიათ, თუ ოსმალოს ჯარი ბოლგარიაში რომელსამე დიდს ოში დამარცხდესო, მაშინვე უშეამავლოდ პირ-და-პირ რუსეთს მორიგებაზედ დაუწევე საუბარით თუმცა მორიგების თაობაზედ ევროპაში კანტი-უნიტად ლაპარაკობენ, მაგრამ ზემოხსენებული ამბავი მაინც უსაბუთოდ არ დაიჯერება.

— მორიგებაზედ რომ ხმები დადის, აი იმის თაობაზედ რა ჰსწერია გაზეთს „Presse“-ში: „დღეს ნამდვილად სხვა და სხვა მხრიდამ მოვიდა ამბავი შერიგების თაობაზედ. ამის შესახები ამბები ერთმანეთს პირდაპირ ეწინააღმდეგებიან მხოლოდ იმაში, რომ ზოგ ნი ამბობენ რუსეთმა დაიწევ მორიგებაზედ ლაპარაკით და ზოგ ნი კიდევ ამბობენ, რომ ხონთქარის სახასლები ჰსწნესო მორიგების საჭიროებაო. მაგალითებრ, „Standard“-ში (ინგლისის გაზეთია) სტამბოლიდამ ქვეს ივლისს იწერებიან, რომ ინგლისის ხომალდების შემთხვევაში ბეჭიკის ზღვის-ურეშიათ სტამბოლი მეტად განარისხაო. ამ ქამად მაპმადიანთა და ნამეტნავად უმაღლეს წრეში მაღალიანა ჰსურთინგლისი, რომელთაც იმას აევერიან, რომ თქვენ მარტო თქვენს საკუთარს გამორჩომაზედ ჰაფიქრობთო და ოსმალეთისათვის კი არას ნაღვლობთო. მრავალი გავლენილნი ასმალნი ხმა მაღლა იმახიან, რომ თუ ოსმალეთი იმულებულ იქნება შერიგება მოითხოვსო, მაშინ იგი კედებაო ინგლისი თავისის საქმიდამ დაითხოვოს და თვითონ პირ-და-პირ მოელაპარაკოს რუსეთსაო შერიგების

თაობაზედაო. ამისთანა გუნებაზედ არის თურმე საზოგადოდ მთელი სტამბოლი. თუმცა ინგლისზედ ეს უკავიაფილები არიან, მაგრამ აქედამ რუსეთის მორიგებამდე კიდევ დიდი მანძილია. მეორეს შერით არც ის ამბავია უერადების დირსი, რომ ვითომც რუსის მხედრობის წინამდღვართ გულში ედვათ შერიგების სურვილი; უფრო მით არის ეს ამბავი დაუჯერებელი, რომ რუსების თავისი წესი და წერბილება შეაქვთ ამ ქამად ბოლგარიაში. თვითონ ინგლისი კი ორ ცენტლ შეაა. იმისიც ეშინიან რომ ოსმალო ცალებე არ მოურიგებე რუსეთსა და იმისიცა, რომ რუსეთის მხედრობა წინ არ წავიდეს და არ დაიჭიროს სტამბოლი.“

— ტფილისის კორრესპონდენტი ნემენცურის გაზეთის „Augsburger Zeitung“ ჰსწერს, რომ სომხები დიდს ფაცა-ფუცები არიან და მახებისა შლიანო. სომხები თუმცა კი ვერაფერი მეორარი ხალხიათ, მაგრამ კი ცდილობენო ამიერ-კავკასიაში პირველი ადგილი დაიჭირონთ არამც თუ მარტო საბოლოიტიკ ასხარესხედ არამედ სამხედრო ნაწილიაცო. ამის გამო უოუელს ღონისმიებას ხმარობენო, რომ თავიანთ ჯურის-კაცთა უბირველებით თანამდებობანი არგუნოს რუსის ჯარშიო. საწადელი აუსტრულებათ თუ არა, ჯერ არავინ იცის, მაგრამ კი უქმიელიაო, რომ ამისათვის ეხლა უკეთესი ღროაო.

— კორრესპონდენტი „გელნის გაზეთისა“, ერთს ხმად გაეგარდნილს ამბავს მოგვითხრობს მასზედ, რომ ვითომც სამხედრო მინისტრი ოსმალეთისა რეგისტრაციაში მოწამლოთ აბდულ ქერიმთან ჩეუბისა გამო და აი საკანზედ რას იწერება:

„მედრობის განდგომა! სამხედრო მინისტრის მოწამლი! ხონთქარის გაძნევა! აი უველას ენაზედ რა ადგას, აი რა ათროლებს ხალხსა სახო-წარკვეთილებაში ჩავარდნილს და რა უმღვრევს გუნებასა და ამფოთებს. საშინელი ამბავი სერასკირის მოწამვლისა და სარდალის ღალატისა აწნობა ვენაში აგსტრიის ელჩი როგორც ნამდვილად მოშედრარი და სტამბოლიაც ამაზედ დაჯერებული არიან, თუმცა აქამომდე ჯეროვანად დამტკიცებული არავისაგან არ არის. როგორც მოგებესხებათ, წარულს კვირას რეგისტრაციაში წავიდა მხედრობის უმთავრეს სადგურს შემდაბიდა თან წაიყვანა ნამიქ-ფაშა. ბევრმა იხეთქა თავი მასზედ, თუ როგორ შეხვდებიან ერთმანეთს რეგისტრაციაში და აბდულ ქერიმი; ეს კი უველამ კარგად იცოდა, რომ უმედოლოდ, უჩეუბრად ერთმანეთს კერ გადარჩებიან. სწორედ ეგრეთაც მოხდა—უთანხმოებამ დიდხანს არ აღოდინა თავი. მივიდა თუ არა შემძლას, რეგისტრაციაში შენიშნა, რომ რუსთა გამარჯვებულს სვლას ვერ შეაუენებს კაცი ტორტმანობითა და ამის თვის შეუკვეთა აბდულ ქერიმს რომ სილი სტრის და რუსებულის მეციხოგნეთა ნაწილი რუსთა წინ დასახვედრად გაეგზავნა. ჯერ

აბდულ ქერიმი და ეთანხმა და ჯეროვანი განკარგულება მოახდინა, შერე კი იმით ვაათავა საქმე, რომ მარტო ხუთასი კაცი გაგზავნა ბეჭდს. ამის გამო უსიამოვნო ლაპარაკი მოუვიდათ აბდულ ქერიმს და ოედიფ-ფაშასა. ორივე ერთმანეთს აბრალებდენებს ღალატობას. ბოლოს აბდულ ქერიმმა უქმარი ღონე მოიგონა მეტოქის თავიდამ მოშორებისათვის და მიართვა მოწამლული ევა. სხვანი კი ამბობენ, რომ ოედიფ-ფაშა უფრო სახელვანის სიკედილით მოყვდაო: თვითონ მოიგდა თავიო, რაკი დარწმუნდაო რომ დუნაიაზე ასმალეთს ადარა ეშველება რაო. ხონთქარის სასახლეში ამ ამბობა ეველას თავ-ზარი დაჭსწა, ხონთქარს გული შემოეეარაო და ამბობენ კიდევ რომ მაკმუდ-ფაშას გაგზავნისო აბდულ ქერიმის სახელმძიმისათვის.“

— ოსმალეთის სამინისტრო ამ ბოლოს დროს ბევრს ცილსა ჰსტამბეს რუსეთის მხედრობას მასზე, რომ იგი მხეცურად და შეუბრალებლად ეკიდებაო მაშმადიანებს, საცა კი შეხვედრიანო. აი ამ საგანზე რა დაუჯერებელს ამბავს ისტენიებს ასმალოს უცხო საქმეთა მინისტრი საფეტ-ფაშა თავის ცირკულიარში. „ჩვენი მოხელენი გვაუწებენ ჩვენ, რომ რუსის მხედრობა ბევრს ავ-კაცობას ჰსხადისო იმ ჩვენს ადგილებში, რომელიც მათ დაიზრეს. იგი ხელაღებით ჟლეტს ხალხსა, ჰმუგავს ეველაფერს და ჸსცარცვაგს. აი ჩვენი მოხელენი ამის თაობაზედ რას გვაუწებენ: წასრულს თოშმაბათს რუსის ჯარი მიესია სისტოვის მაზრაში ერთს მაშმადიანთა სოფელს, აიკლეს იქაურობა, ვადაბუგეს სახლები და ამოხოცეს მოქეტებული ნაწილი მშვიდობით-მეოფელის მცხოვრებლებისა. რუსები თავს დაუსხენენ ქქს ამ სოფლის კაცსა, რომელიც მათ სრულად არ ეწინააღმდეგებდნენ, ერთი იმათვანი მოკლეს, სხვანი ტევეთ წაიგვანეს. ქქსი სხვა მაშმადიანი, რუსები და შირონაში მიმავალი, რუსის ცხენოსნებმა დაისირეს და დაახჩეს; ერთი კი გაქციათ. ამ უბედურთა სხვერწლთა გვამნიც კი გახადეს შემაზრხენებელის ქცევის საგნად; მკვდრებს თვალები დაჭსთხარეს და თვალთა ბუდენი ზურით ამოუმსეს. რგას ასმალოს ჯარის-კაცს ტევეთ ჩაგარდნილთა ჯონით ფერა დაუწეს ასე, რომ სიკედილადე მიაღწეონეს. ამ გვარსავე მხეცობას გვაუწებენ ჩვენ აზიიდამ. ათას ხუთასი კომლი, რომელიც რუსის სერგეი ასების ბარბაროსაგამოქცენებს სოხუმიდამ და თავი შეინიშნეს ტექში, სულ ამოწერენ შიმშილითა. რუსის ჯარმა, არტანუჯის დამკერმა, გამობრუნების დროს ამოხოცა არმოც-და-ათი სული ასე, რომ არც სქესს ათხოვა უური და არც ხნოვანობასა. მრავალი აშენებული ადგილი, რომელზედაც კი გაიარა, სულ ამობუგა. ერთი (უკილისკი) სომხის ენისკონტი დაიჭირეს, ხელ-ფეხი გაუგრეს და აგრე შეურაცხ-ეოფილი თან წაიგვანეს.“

— 12 ივლისს სტამბოლიდამ თსმალეთის უცხოთა მინისტრმა აწნობა თსმალეთის ელჩებს ევროპაში შემდეგი ახალი და, რასაკვირებელია, ტეუილი ამბები: „მაღალს ბორტას ტელეგრამმით აწნობეს, რომ 7 ივლისს რუსის მხედრობა შევიდა კესტანსა და ბელოვანშიო, იარაღი წაართვა მაშმადიანთა და ბოლგარიელებს დაურიგა. ამის შემდეგ მუსულმანები სულ ამოხოცილ იქმნეს: მამა-კაწნი, თუ ბავშვები (?) მათს სადგომებს ცეცხლი წაუკიდეს. აქედამა ჰსხანს, რომ რუსებს მოუწადინებიათ ხელაღებით ამოხოცეა ველა მუსულმანებისა, რომელთაც კი გზათ შეხვდებიან. აქედამა ჰსხანს რა ბარბაროზებასაც უნდა მოელოდნენ საწული ჩვენი თანა-მერჯულენი იმათვან, რომელიც ხმა მაღლა აცხადებდნენ, რომ კაც-მოუვარებელისათვის და დევნულთა სასხსნელად მოვდივართო. ჩვენ გერვი არ გვაქვსო, რომ ევროპა სრულის გულის წერომით შერისხვას ამისთანა ულმობელობას.“

— რუსელი გაზეთი „Съверный Вѣстник“-ი, ამბობს: „ამისთანა ცილის წამებანი რუსეთის მხედრობისადმი გზას ვერ ბოლობს იმ გაზეთთა შორის, რომელიც ვეროპაში უმთავრესნი არიან. ინგლისურს გაზეთს Timse-ს ამბობს, რომ ცარიელი ლიტონი სიტევა არ დაუჯერებაო იმ მთავრობას, რომელმაც სრულის მშვიდობიანობის დროს საზარელი საქმები მოახდენინა ბოლგარიაშიო და მთელი ბოლგარია სისხლით მოარწევებინაო და რომელმაც არამც თუ არა ღონისძიება არ იხმარაო რომ დამნაშავენი დაესაჯაო, არამედ თითიც არ გაასმრია იმისათვის, რომ შემდეგ მა მინც ადარ მომხდარიელო. თვითონ ასმალებსა აქვთო, განაგრძობს „Timse“-ი, წესად მიღებული ის უბრალოდ კაცის-კვლა და აოხერებაო, რომელსაც რუსებს აბრალებენო.“

— რუსელი გაზეთს Съверный Вѣстник-ს ვენიდამ 10 (22) ივლისს შემდეგი ტელეგრამმა მოსვლია: დუნაიის ჯარში მეოფელი უცხო კვეუნების კორესხონდენტებმა რიცხვით ოცმა კაცმა ხელი მოაწერა მასზედ, რომ თსმალოს მთავრობა ტეუილად ჰსდებსო რუსის მხედრობას ავად ქრევის ბრალსა.“

საბოლოიტიკო მიმოსილვა

ინგლისი. 16 (4) მკათათვეს ლონდონის ზალატში დეპუტატმა დექენებისმა შემდეგი კითხვა წარუდგინა მთავრობას: „შეუძლიან თუ არა გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწერეს წარმოუდგინოს ზალატს ნამდვილი ზირი იმ ზრულამაციისა, რომელიც რუსეთის იმპერიაზე არმოც-და-ათი სული არ გაიარა, სულ ამობუგა. ერთი (უკილისკი) სომხის ენისკონტი დაიჭირეს, ხელ-ფეხი გაუგრეს და აგრე შეურაცხ-ეოფილი თან წაიგვანეს.“

ამბობს, რომ თ. ჩერკასკის პროექტის მალით, ბოლგარიაში საშედრო და საერთო მმართველობაში უსათუოდ რუსული ენა უნდა იუს ხმარებული და მიწის საკუთრება მხოლოდ ქრისტიანებს უნდა დაურიგონო. რუსული ენის შემთხვება უსათუოდ რუსის მოხელეთა დანიშვნას მოასწავებს, რადგანაც არც ერთმა ბოლგარი იყლმა, თუ რუსეთში არ არის ნახტავლი, არ იცის რუსული ენა. თუ ეველა ეს მართალია, ჩვენი მთავრობა წინააღმდეგება თუ არა ამ გვარ მოქმედებას რომელიც არ ეთანხმება რუსეთის, მთავრობის მიერ წინათვე ადიარებულს ბირობას? უნდა მოგაახსენოთ, რომ ამ ქამად სამი თარგმანია პროფესიამასა, რომელთა შორის არც ერთი მეორეს ვერ ეთანხმება.“ ზედ განვითარებული მინისტრის თანაშემწევ, ბორჯმა უნახუნა შემდეგი: „მთავრობამ მიიღო პროფესიამას ბირი და რა ვითარი მიზეზი არა აქვს ის ბირი წარმოგიდვინოთ. თ. ჩერკასკის შესახებ ჩვენც შევიტევთ ბუხარესტიდამ, რომ მასზე არის მინდობილი ბოლგარიის მმართველობის მომართვა და თან 400 მოხელე ახლავს. ამის მეტს ჩვენ ჯერ ვერაფერს ვერ ვეტევით, რადგანაც ამ საგანის შესახებ ჯერ არაფერი ამბავი არ მოგვსვლია.“

ბორჯმა პსთვევა, რომ მთავრობას არავითარი თვითმიმდევრი წარმატება არ მოხვდიათ შესახებ რუსეთის ენისა და მმართველობისა ბოლგარიაში. ამაზედ განვითარებული „Nord“ (რომელიც რუსეთის თვითმიმდევრ განვითარება) ამბობს: „ის ახერხება, რომლითაც რუსეთი ადგილობრივის მმართველობის წევრთა არჩევინებს, საკმაოდ ამტკიცებს, რომ მას პსურს შემოიღოს ბოლგარიაში რუსული კი არა წევრი; არამედ ბოლგარი იყლით. იმავე მიღრუკილებით დაწესდა ბოლგარიის ლეგიონი. ეს თვით მმართველობის უმთავრესი ორდანო საჭირო ადარ იქნებოდა შეტერზურდის კაბინეტის რომ ის განზრახვა პრონოდა, რომელსაც პსურმებენ მას ინგლისის მთავრობის წოვიერთა წევრი. უფ. ბორჯმა პსთვევა, რომ თ. ჩერკასკიმ თან თოხასი მოხელე წარმატება. არ ვიწიო მართალია ეს რიცხვი თუ არა; იქმნება გადამტებულია. რაც უნდა იუს, ეველასთვის ცხადია, რომ რამდენისამე დღის განმავლობაში შეუძლებელია მოიკრიფოს საკმაო მოხელე ეველა ადგილებისათვის იმ ქვეყანაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დაჩაგრუდი იქო ასმალების მიერ, და მეტადრე იმისთანა განსაკუთრებულ გარემოებაში, რომელიც ამჟამად თავს ადგა. უფ. ბორჯმა უნდა იცოდეს, რომ რუსის მოხელენი, რომელიც თ. ჩერკასკის ახლავან თან, სამუდამოდ არ არიან მიწვეულნი ბოლგარიაში, საკვირველია, რომ უფ. ბორჯმა იცის ეს და მაინც შალატში კი იმისთანა თო აზროვანი სიტყვა წარმოსთვა.“

ავსტრი-ვენგრია. ავსტრიელი განვითარებული გადასახლის ჯარის მიერ ბალკანიის მთის იქით გადასახლის თაობაზედ ზოგი რა აზრს აღია, ზოგი რას. ზოგი ამბობს, რომ ეს ამბავი (მთის იქით გადასახლი) უსათუოდ ავსტრიასაც არევს საქმეში. ეს აზრი სრულიად უსაფუძვლოა. ავსტრიამ, როგორც სხვა და სხვა სახელმწიფოებმაცაო, შეიწარაო ეს ომი და უღველე მის საქმეს მმუიღობიანათ უერეგბელ. როდესაც ამ ომს საბოლოიტიკო შედეგი მოჰკვება, მაშინ რასაკვირველია ავსტრიაც, როგორც მთელი ეკრანა, თვის ტერმოქმედებას გამოახენს.

— განვითს პროგრამი შემდეგი პსტერია: „ცუდი დღე დაუდგათ მადიარებს (ვახგრიელებს). რუსები ციხე-სიმაგრეებს იღებენ დუნაიზედ, ბალკანიის მთის იქით გადადიან და ადრიანოპოლს უახლოვდებიან, თვითმიმდევრი განვითარები კი თვის განვითარები აცხადებს, რომ ეველა ეს სრულებით არაფერში არა პსცვლის საბოლოიტიკო მდგომარეობასაც. განვითარებული დროიდან რისხავს მთელ ქვეყანას, ნუ დაგუშავთ თხმალეთსაო, ტეუილ-უბრალოდ ლაპარაკობს იგი რუსების უდიერობაზედ, რომლის წინაშე შარშანდელი ქცევა ასმალებისა ბოლგარიაში არაფერიათ, არავინ ისმენს მოდიარების კვნესას, არა ვის არა პსვერა რუსების უდიერობა.“ „ჩვენ დარწმუნებული ვართ, — ამბობს კიდევ იგივე განვითარები, — რომ ამით ვერ გამოიცვლება გამვლენელის სახოგადოების რწმენა. ავსტრია არ მოინდომებს იმ სახელმწიფოთა გადამტერებას. რომელთანაც შევაბრობა პსურს; მას ფიქრათაც არა აქვს ისე მოიცეს, როგორც მადიარებს უნდათ და ბირ-და-ბირ აცხადებს: რუსები ბალგანიის იქით უფრო ნაკლებ ვნებას მოგვიტანებ, ვიდრე ბალგანიის აქეთაო. ვინც იცის რომ არ გავერთე საქმეში მაშინ; როდესაც რუსეთი დუნაის ვადვიდა, მას ისიც უნდა ესმოდეს, თუ რატომ ეხლაც არ ვერევით საქმეში,,.

— ეველა ბოლგარიის სტუდენტები, რომელიც შრაგამი, ვენაში და ბექტ ში იძეოფებიან, შინისენ არიან მიწვეულნი, რადგანაც იგინი მათის სამშობლოს განთავისუფლებისათვის არიან საჭირონიო. 25 სტუდენტი კიდევ გასულან შრაგიდვან.

— განვითს Memorial diplomatique-ში ამას წინედ დაბეჭდილი იყო, რომ ინგლისმა და ავსტრიაში ჩუმად შირობა დაუდგეს ერთი ერთმანეთსაო, რომ თუ ვინიცობაა რუსის ჯარი სერბიაში შევიდაო, ინგლისი არავითარ დაბრკოლებას არ მისცემს ავსტრიას ბოსნია და პეტ्रოვგორინა დაიჭიროსთვის. მუსურუს-ფაშაც (ოსმალეთის ელჩია ინგლისში) გამოაწადაო, რომ არც ასმალეთი იქმნება ამის წინააღმდეგით. ეხლა მუსურუს-ფაშა სხვერს ერთს საფრანგეთის განვითს, რომ არაფერი მაგისტანა არ მითქამსო რაო და

ამბობს: „ჩემის აზრით ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დაჭერა აუსტრიის შემადგრება იქმნება, როგორც თვით ომი ავსტრიასთანაო. მაგრამ მე მგონია, რომ ტეუილად ჰერცამებენ ავსტრიას ამ გვარ განზრახვასათ.“

ოსმალეთი. მას აქეთ რაც რუსის ჯარმა ტირნოვა და გაბროვა დაიჭირა ხონთქარი და მისი კარის კაცი დიდს მწუხარებას მიუწენენ. სადღაა ეს სიხარული, რომელიც დაბადა ოსმალოს ჯარის გამარჯვებამ მცირე აზიაში, —იწერება აუსტრიის გაზეთის კორრესპონდენტი. ოსმალებს ჯერ თითქმის არავითარი დაბრკოლება არ მიუწიათ რუსებისათვის. ამ გვარი დაუდებნელობა მთავარ სარდლისა მალიან უკირთ სტამბოლში და ვერას გზით ვერ გაუგიათ რა მიზეზია. ეველგან დადატი ისმის. ხონთქარი მალიან დაშინებულია და სულ რუსები ელანდება ჩემს სასახლეს გარს შემორტყმიანო.“

— ვენელი კორრესპონდენტი ნემენტურის გაზეთისა ამბობს, რომ ოსმალეთის სამინისტროს ვამოცვლა ისე არ ჩაიგდისო რომ თმის საქმისათვის გავლენა არა იქონის რაო. აი რას იწერება ოსმალეთის მდგომარეობაზედ: „სტამბოლის სასახლეში უფრო დიდი შეძი და დელგა, ვიდრე თვით ხალხში. ამის მიზეზი მარტო ის კი არ არის, რომ რუსის ჯარი აღმართობის გზაზედ დგას, არამედ თვით რედიფ-ფაშაც (რომელიც გაგზავნილი იქო მუშავისამხედრო მდგომარეობის გამოსაძიებლად) დიდ სამწუხარო ამბავს იწერება. თვითონ აბდელ ქერიმ-ფაშას (ამ ქამად, როგორც მოგეხსენებათ, გადაუქცებულია) არც არავითარი ცნობა აქვს თურქები თვის მხედრობის მდგომარეობისა, არც არაგითარი წინადვე შედგენილი შლანი. ნიკოზოლის აღება სტამბოლში ვენიდგან შეიტევს. ხონთქრის სასახლეში საშინელად დაფეხულებინი არიან. რეუფ ფაშისაც, რომელიც ბალკანის მთის დასაცემელად იქო გაგზავნილი, სტამბოლში არა იციანორა. საქმე იქამდისინ მივიდა, რომ ავსტრიის დრაგომანსა ჰსოთხოვეს საომარს ადგილებში წასული და ნამდვილი ამბავი შეეტევ. ამისთანა მდგომარეობაში ეველგა დაგრენერი მოსალოდნელია სტამბოლში, თვით მორიგების წინადადებაც კი. მაგრამ შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ რუსეთში სრულიად არა ჰსურთ ეხლავე ომის შეწვეტა, რადგანაც მნელათ თუ შეხვდებათ შემდეგ აწინდელისთანა მარჯვე გარემოება.“

ამ გვარ მწუხარებაში ოსმალეთის გაზეთს „ბასირეთს“ კიდევ ახალი საქმე გამოუხენია ოსმალეთისათვის. გაზეთი ამბობს, რომ ჩერხოვგორი ელევაცი აქამდისინ ამისთანა შეცვებად და ბარბაროსებად იმიტომ არიანო,

რომ მათი მთანი და უდაბური ადგილ მდებარეობა განათლებულს ხალხებს არიდებსო. ამის გამოისობით მთავრობა დიდ სარგებლობას მოუტანს მთელს კაცობრიობას და თვით ჩერნოვორი ელევაცია, რომ ისინი დიდებულმა იმშერიამ სხვა უფრო ნაფიქირ ადგილას გადასახლოსო და მიწა და საქონელი მისცესო. ამ გვარის ზრუნვისათვის კაი ბასუხი იციან ჩერნოვორი ელევაცია, კაი წამალი ურჩევია „ბასირეთს“ ხონთქრისათვის, რომელიც ამოდენა ხანი ეომება და მაინც ვერა გახდარა ამ გაუქაც ჩერნოვორი ელევაცია.

— ხონთქარს ბმანება ვამოუცია თურმე, რომ უოველი მოხელე ადრიანობლის ვილიაეტმი, რომელიც კი თავის ადგილს დაანებებს, სიკვდილით დაისჯებათ.

სერბია. იმ 31 დეკემბერითა მაგივრად, რომელნიც დეკემბერით გადადგნენ, ამ ქამად ახალი არიან ამორჩეულნი; ამ ახალთ შორის ნახევარი მთავრობის მომხრეა ასე რომ მთავრობას მოემატა კიდევ 15 თუ 16 კედი.

წვრილი ამბები. მიტკად-ფაშა დაბრებულია თურმე ხონთქრის მიერ სტამბოლს და წასულა კიდევ. აწინდელის ვეზირის გადაუქცება აუცილებელიათ.

— ლონდონში დიდი მიტინგი შეეტილა, რომელ ზედაც ჯონ-ბრაიტს უთქამს სიტევა. ბრაიტმა სოქვა, რომ ინგლისი უსათუოდ ნეიტრალიტეტზე უნდა იდგესო, თორემ საშიმა მთელი ეკრანის სახელმწიფონი წინ არ აღიდგინოსო. იმავე მიტინგზე ლიბერალების მოთავეს, მარკიზ გარტინგზე წარმოუთქმამს სიტევა და იგივე აზრი გამოუწედებია.

— ოსმალეთის მთავრობა წამ და უწუმ უჩივის ეკრანას რუსის ჯარი შეუბრალებლად ეკიდება ოსმალებსათ. ეხლა ინგლისის მთავრობას დილომატიური მიწერ-მოწერა გამოუცხადებია ამ საგნის შესახებ. ამ მიწერ-ეოწერაში სხვათა შორის ხონთქრის შემდგენი სიტევებია თურმე მოხსენებული: „მანამ რუსების შეუბრალებელი ქცევა არ შესწევდება, მე ვერ შემდელება შევიმავრო ჩემი ქვეშვრდომნი.“

— სტამბოლში ხმა გავარდნილა, რომ მთავრობა მორიგების წინა დადებას გაუგზავნისო ხელმწიფე-იმპერატორს. მაგრამ გაზეთის **Memorial diplomatiqe**-ის სიტევით ხონთქარს არამც თუ მორიგება არ სურსო, არამედ წინასწარმეტეველის მაშმადის დროშის გაშლას აზირებს, თუ რუსები ადრიანობლის დაიჭრენო.

— ოსმალეთის მთავრობა მხოლოდ მაშინ იქნება თანახმაო ინგლისის მიერ გაღლიიბლის დაჭერისა, როდესაც ინგლისი ამს გამოუცხადებს რუსეთსათ.

ოსმალოს საქართველო

ლივანა და კლარჯეთი

ჩექნებს ეხლანდელ მწერლობაში და საზოგადოებაში ერთი ცრუ აზრია დამეარტყელი, ვითომც ქართველის ხალხის დასახლებული ადგილის სამზღვარი ჭრის მის მდინარე იყოს .ამაზე ერთი აზრიც არის მოფენილი, ვითომც ახალციხის ომის შემდეგ 1829 წელს ადრიანოპოლის მორიგების დროს სამზღვრათ ჭოროხი, ესე იყო ქართველის ხალხის სამზღვარი და გითომც სახელების მსგავსების გამო შეცდომით ჭოროხის ნაცვლად ჩოლოქზე გაუტანიათ მიჯნაო. ეს მხოლოდ უბრალო ლაპარაკია და ფაქტები სრულებით არ ამტკიცებს, მით უმეტეს, რომ მორიგების შეკრულობაში მდინარეს გარდა სხვა ადგილებიც არის აღნიშნული.

მაინც და მაინც ახლანდელის გეოგრაფიულის აღწერითა და ისტორიის შემწეობით ნათლათა ვხედავთ, რომ ქართველი ხალხი ჭოროხის მთელ ხეობაზედა სწორულებს გადმა-გამოფმა. ჭოროხი იწევს მდინარებას დასავლის მხარეს, ბაიბურთს ზემოდ და მომდინარებს ლაზის ტანისა და სომხეთის მთების შეა, სამხრეთ-ჩრდილოეთისეკნ, და მერმე შავშეთისა ანუ კარჩხალის მთებთან მიუხვევს, ჩრდილოთ მიმდინარებს და ბათუმთან ჩაერთვის ხდებასა.

ჭოროხი მომდინარებს ორას ორმოც-და-ათის ვერსის სივრცეზე და სივანე აქვს ოც-და-ათიდამ სამოც ვერსამდე. ამ გვარად ალაზანზე და რიონზე (200 ვერს) უფრო გრძელია და სივანე თითქმის იგივე აქვს, რაც კახეთსა და ქიზიეს. ეს მსუბუქათ თვალის გადავლება გვიჩვენებს სივრცეს ლივანისას და კლარჯეთისას.

ლივანა ანუ მცენა ლივანი სდევს ქობულეთს, აქარას და შავშეთის დასავლეთს და მიდის ჭანეთის მთამდე ჭოროხის ხეობაზე, ართვინს ზემთ; ართვინიდამ ზემოთ ჭოროხის სათავემდინ სდევს მცენა კლარჯეთი. ლივანას სამხრეთ ოლიტის გარშემო სდევს მაზრა ტაოს-კარი (თავისეარი, თავსეკრ) და კოლა. მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ლივანას და კლარჯეთს მოვიხსენებთ.

სამწერალოდ ჩვენდა კლარჯეთზე ფრიად მცირე წნობა გვაქვს და მომავებული საწნობი უფრო ლივანის ამბავი ვიცით. ერთ ხმათ მოგვითხრობენ ჩვენის დროს ოგზაურნი და მცენა მწერალი ვახუშტი,

რომ ეს ადგიდები მალიან მთიანი და ხეობიანი ადგილია, რადგან რესავ მხარეს ჭოროხს მდებარებული ფრიად მაღალი ჭანეთის, კარჩხალის და სომხეთის მთები. ამათგან გამომდინარებული წერილი მთის წელები, რომელთა ნაპირები შემოსილია მშენიერის მცენარითა, თუმცა შიგა და შიგ ქვაღორღიანი და შიგველი კლდებიც მოისოვება. სადაც კი ერთი მუქი მიწა შეღორღილა საკვირველი მცენარება ჩანს და ზედ ამოსულა ვაზი, ბროწეული, ნუში, ლეღვი და ზეთისხილი. თიბათვეში ხორბალი და ქერი მოჭრილია და სიმინდსა სთესენ. ამ გვარათ ორი მოსავალი მოდის.

მცხოვრებთა მოჰკუმი საკმაოთ ბევრი ზური და სიმინდი, ინგლისის გაჭრები უიდეულობენ და ჭოროხზე სანდლებით ბათუმს ჩაქვთ. ამას გარდა ვაჭრობენ ხილითა. ბირუბებს ინახვენ ინახვენ ცხენსა, ჯორს და ცხვარს. ვახუშტი მოიხსენებს, რომ ლივანაში ეველი ისეთს აკეთებენ, რომ არც წარხდებისო; თითო წონით ათიდამ ოც ლიტრამდე იქნებათ და თუ მოხარება, მალიან კარგიაო. ხელოსნობა საკმაოდ კარგა გაურცელებულია: არის იმისთანა სოფლები, მაგალითად ბორჩხა, რომ არც ხვნენ და არც სთესენ; ზურს ეიდულობენ, და სარჩენად იციან სანდლების (კაიუკების) კეთება; ამას გარდა სახერხი ქარხნები აქვთ, წისქვილები, აგურისა, კრამიტის და კირის ქურახანები, ქურჭლის ქურები. აგრეთვე მცენა და გარება ხურობა და ხის სახლის შენება კარგათ იციან. სანდლები და ნავები მისატან-მოსატანა თ ისე მრავალია, რომ ბევრი ცხენი და სახედარი არა პუავთ და არც კი უნდებათ.

ამ უგანასკნელ წლებამდე საგვარეო გზა სრულებით არ ისოვებოდა და ამიტომ საქონელი მარტო ჭოროხზე ჩაჰქონდათ 50 ვერსტის დაუღლებაზე, ართვინიდამ ბათუმს, სანდლებითა. ამ სამი ოთხი წლის წინათ ბათუმიდამ უარსამდე შოსხეს გზის კეთება დაიწევს. ეს გზა რასახავი ირველია დიდათ გააცხოვლებს ვაჭრობასა, მივლა-მოსვლასა და ამ გვარათ ხალხს მიურუებულის ცხორულებიდამ გამოიყანს.

ჭოროხის გადმა-გამოღმა მხარეს მალიან მჭიდროთ დასახლებულია ქართველი ხალხი სოფლებში მცხოვრებელი მალიან მშენიერის შეხედულობისა, ფხიზების და კარგის გონიერისანი არიან. ხალხი წმინდათ მშენივრათ და ტკბილათ ქართველათა დაბარაკობს. მცენა და ეს ადგილი საქართველოს შეაგულთან ახლოს იყო და მცენა დირსება ქართველობისა დღევანდლამდე არ დაუკარგავს.

ქართველები სარწმუნოებით მაჰმადიანი არიან, ასეოთ კიო, რომ აღრე ქრისტიანები უოფილან და საქართველოსთან შეერთებულნი. ქალაქებში ართვინს, ისპირს სომეხნი არიან, რომელნიც ნახევრობით ქართულს და სომხურს ურჩევნ. სომეხნი ქრისტიანები არიან (სომეხ-კათოლიკე სარწმუნოებისა). პარხალის (ანუ პარახლის) ხეობაში დარჩენილა ხუთიოდე კომლი ქართველი, რომელნიც ცხადათ ქრისტიანობენ (მართლმადიდებელის სარწმუნოებაზე), ჰერთ საკუთარი მღვდელი, ახალციხეში ხელ-დასხმული გგარათ ღებრაძე; აქავ საიდუმლოთ თითქმის მთელი ქართველობა ქრისტიანობსო. ეს უკანასკნელი გარემოება შესანიშნავია. მართალია ამ ქამად ოსმალოს სახელმწიფოში ქრისტიანობას არ სდევნიან რჯულის გამო და ორგორც ამბობენ თვით სტამბოლში ოსმალებთაგანნიც არიან გადასულნი ქრისტიანობაზე (ზორექტანტის სარწმუნოებაზე), ეკლესიანაც აქვთ და წირვა ლოცვა ასმალურ ენაზე; ამასთანავე მართალია, რომ ოსმალოში ეველას და ამათში თათარსაც გაქრისტიანება შეუძლია, ნება აქვს, და ეველა ქრისტიანს საქრისტიანო წწალის მოფენის უფლება აქვს. თუმცა ეს ელველი ახეა, მაგრამ მაგარი ეს არის, რომ თვით გარეშემო ხალხი რა კი მაჰმადიანია, იმათში მცხოვრებელს ხალხისა ერიდება. ამიტომ პარხალის ქრისტიანობა შესანიშნავია; ამას გარდა შესანიშნავია იმით რომ წინათ აქ ქრისტიანობა დიდს დევნულებაში უოფილა. ამავე პარხალისა ხეობაში ქართული ენის კილო განსაკუთრებულია. აქ ჩვენებ ისე ჩქარის გამოთქმით და სიტევის ბოლოში დიფორნგის დაცემით (ორგორც ფრანციულში) არსადა არა ლაპარაკობენ თურქე. პარხალის გზა მდებარებს ქობაქიდამ ჭანეთის მთით.

რაც წარსულ ისტორიულ ცხოვრებას შეეხება აქაც არ დაჰქიწებიათ ქართველობა. ართვინში სცხოვრებენ ახალციხის ათაბაგების ჩამომავალნი ბეგები: ესენი ამბობენ, რომ ნამდვილი ჩამომავალნი ესენი არიან და არა შავშეთის ბეგები აქტობალეთს მცხოვრებელნი. ამ ბეგებს ახსოვთ წინაპართა თავ გადასავალი რაც ამ ას ორმოც წელს შეეხება. ამ ათაბაგების გვარის ჩამომავალთაგან ამ ქამად ართვინში ათიოდე კომლი სცხოვრებს. მაგრამ ამ ბეგებს არავითარი მნიშვნელობა და გავლება აღარა აქვთ. უბრალო აღებსა გვანან. ეს მნიშვნელობა დაპარებეს მას აქეთ, რაც ახმედ-ფაშაძ ხიმშია შვილმა ლიფანაზე გამოილაშქრა და ალი-ბეგ ათაბაგის გვარისას სახლი დაუწევა. მას შემდეგ ლიფანაშიაც

ნიმშიაშვილებს პირველი ხმა აქვთ.

ლიფანს სხვათა შორის ორი შესანიშნავი შეელი ეპელესია არის: ერთი სოფელ პარხალს და მეორე ონიშის ნათლის მცემლისა. ონიშის ეკლესიასთან მრავალი შენობია, რომელიც გვიმტკიცებს, რომ აქ დიდი მონასტერი უნდა უოფილიერ, თითო მონასტრის სადგომის შენობის სივრცე 38 ნაბიჯია და სიგანე 33. ეს შენობები სულ კამარებითა და სვეტებით არის დაუფილები. თვით ონ ეკლესის სივრცე 150 ნაბიჯია და სიგანე 80. ამ ქამად ონიშას თორმეტიოდ მოსახლება სცხოვრებს.

პარხალის ეკლესია ამ ქამად მეჩითათ არის და ამის გამო არ დანგრეულა. ეს ეკლესია ნათალის ქვით არის აგებული და იმისთვის შეელის შენობის ხასიათი აქვს, რომლის მსგავსი მაღაიან ცოტადად დარჩა მთელს საქართველოში: ამ გვარის შენობისა (ციონურისა უგუნბათო), არის ქალაქს ანხისხატის ეკლესია, ქართლს ურბნისისა, თერგის სევჭის სიონისა (სივანისა) და იქვე სევჭი სიონის ხეობაზე სოფელ ახალციხესთან დასახლის მმობლისა. პარხალის ეკლესია მშვინიერის ხელოვნებით არის აგებული: სულ სვეტები, კამარები და ჩაჭრილი თახებებია. შეხედულობა ისეთი აქვს, რომ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიაზე დიდს მთაბეჭდილებას აწარმოებს. სამწირველოში დარჩენილა მხატვრობა მაცხოვრისა და მოციქულთა. იატაკი კირით არის გაღესილი.

ამ ეკლესიებს გარდა სხვაც ბევრი ებბლესიები, ხიდები და ციხეებია და ხალხისაგან შეტათ პატივცემულია.

დიდი ქალაქი ჭოროხის ხეობაზე, საკუთრად ლიფანაში, ართვინია. აქ 20, 000 სულამდე მცხოვრებელია, ამათში 100 სახლი სომეხ-გრიგორიანებისა, 600 სომეხ-კათოლიკებისა და და დანარჩენი 1300 სახლი მაჰმადიანებისა. ამის დაგვარათ 5 მეჩითა, 4 კათოლიკეთ ეკლესია, 1 სომეხ-გრიგორიანებისა. დუქანი 250, ქავანანა 8, მეჩითებთან და ეკლესიებთან შეკლებია, ართვინი ქალაქ შუშასა გავსო, ამბობს ავტორი თხზულებასა „სამი თვე ოსმალოს საქართველოში“. სავაჭრო საქონელი მოდის ბათუმზე მარსელიდამ, ლონდონიდამ და სტამბოლიდამ. ართვინში მოიპოვება მველი ხელონაწერი ქართული წიგნები სხვათა შორის ეკლესიებში. ართვინს საგჭროთ ჩვენის მხრიდამ უმეტესად ახალციხელები დაირებიან.

**ბრძოლა რომის დასაპყრობლად
(შედეგი) *).**

— ეს ჩარჩო, სწორედ მოგახსენოთ, ჰსთქვა დაცინებით თეოდორამ, როცა სურათი ჩამოართვა იუსტინიანეს; ისეთი რამ ყოფილა რომ კაცს ძალიანაც უნდოდეს მისგან აღტაცებაში ვერ მოვა. ხოლო სურათის სახე არ არის ცუდი. უეჭველად ეგ გოთთა დედუფალია.

დესპანმა ალექსანდრემ თავი მოიხარა ჰოსნიშნად.

— დიალ, ურიგო სახე არ არის. მხოლოდ რაღაც ბარბაროზულია, პირ-მქუშია, ქალის სინაზე არა აქვს. რა ხნისა უნდა იყოს, ალექსანდრევ!

— ორმოც-და-ხუთის წლისა უნდა იყოს.

იუსტინიანემ ეჭვით შეხედა ჯერ სურათს, მერე დესპანსა.

— ეგ სურათი გადაღებულია ამ ხუთმეტის წლის წინად, ჰსთქვა ალექსანდრემ თითქო შეცდომის გასასწორებლად.

— არა, მიუგო იმპერატორმა: — შენ ჰსცდები. აი ზედ დანიშნულია, რომ იგი ამ წელს არის დაღახატული.

ყველანი ჩაჩუმდნენ გულ გადალეულსავით.

— მაშ თუ ეგრეა, მხატვარნიც ისე პირ მოთნენი ყოფილან, როგორც....

— როგორც იმპერატორის კარის-კაცნი, ჩამოართვა სიტყვა იუსტინიანემ.

თეოდორამ გადასხვაფერა სიტყვა და ჰსთქვა:

— რა საჭიროა, რომ ტყუილ უბრალოდ ვყაყანებთ სურათისა და ქალის ხნიერობის თაობაზედ, მაშინ, როდესაც საჭმე სახელმწიფოს ვითარებაზედ, არის მიმდგარი. რა ამბავი მოიტანა ალექსანდრემ? შენ, იუსტინიანევ, რაიმე გარდა წყვეტილობა მიგილია, თუ არა?

— თითქმის მიმიღია. მხოლოდ მსურდა, რომ შენთვისაც რჩევა მეკითხა: მაგრამ შენ, ვიცი, ომს მიქადაგებ.

— მაშ, ხელმწიფეო, ჰსთქვა გულდინჯად ნარზესმა: რატომ წინადვე არ შეგვატყობინე, რომ იმპერატორის მეუღლეს ომი სურვებია? მაშინ ჩვენ ჩვენს სიტყვებს ჩვენთვისვე შევინახავდით.

— რაო? შენ მაგით იმისი თქმა გინდა, რომ მე ჩემის ცოლის ყურ-მოჭრილი მონა ვარ?

— ენა გაიფრთხილე, წამოიძახა რისხვით თეოდორამ: ბევრნი ყოფილან იმისთანანი, რომ უფიქრიათ მე ხელს ვინ მახლებსო, მაგრამ მტვრად აღგვილან იმის გამო, რომ ენა მეტად ბასრი ჰქონიათ.

— შენ, ნარზეს, ძალიან გაუბრთხილებელი კაცი ხარ.

— ხელმწიფეო, მიუგო ნარზესმა ისევ გულდინჯად: მე დიდი ხანია სიფრთხილეს თავი დავანებე. ჩვენ ვჰავობრობთ იმისთანა დროს, იმისთანა სახელმწიფო ში, იმისთანა სახელმწიფო კარზედ, საცა ერთის სიტყვის გამო, თქმული იყოს, თუნდა არა თქმული, შეიძლება კაცი რისხვის ქვეშ ჩავარდეს და დაიღუპოს. რადგან მეც ჩემის სიტყვის გამო ვშიშობ სიცოცხლიდამ გამცლიან, ამის გამო ჩემთვის უმჯობესია მოვკვდე იმ სიტყვისათვის მაინცა, რომელიც მე თვითონ მომწონს.

იმპერატორმა გაიცინა.

— დამეთანხმე მაინც, ჩემო დიდებულო, ჰსთქვა იუსტინიანემ: რომ მე ვითმენ ბევრს გულახდილად პირში თქმას.

ნარზესი იმპერატორთან ახლო მივიდა.

— შენ ბუნებით დიდი ხარ, იუსტინიანევ, და მბანებლობის ღისრიც დაბადებითვე: ესე რომ არ იყოს, ნარზესი შენ არ გემსახურებოდა. მაგრამ ომფალამ თვით ჰერკულესი გაანამცეცა.

თეოდორას რისხვით აენთო თვალნი. იუსტინიანე შეშინდა.

— კარგი წადით ეხლა, ჰსთქვა იუსტინიანემ: მე მინდა მარტომ რჩევა ვკითხო იმპერატორის მეუღლეს; ხვალ შეგატყობინებთ ჩემს გარდა-წყვეტილობას.

ყველანი გავიდნენ.

*) „ვერა“ № 19.

— შეუნდე მას, უთხრა იუსტინიანემ თეოდორას, რომელსაც მიუახლოვდა და კოცნა დაუწყო: მას კეთილის განზრახვით მოსდის ეგ.

— მე ეგ ვიცი, უპასუხა თეოდორამ: მაგრამ თუ ეგ აქამდის ცოცხალია კიდევ, მარტო იმიტომ არის, რომ საჭიროა ბელიზარის წინააღმდეგ სახმარისად.

— შენ მართალი ხარ როგორც ყოველს უამს, უთხრა იუსტინიანემ და მოეხვია.

ეს რა დაპართვია? იფიქრა თეოდორამ—ეს ალერსი იმას ნიშნავს, რომ სინიდისი წმინდა არა აქვს.

— ღმერთმა არ მაღირსა ნიჭი, რომ თვით მე ვიმარჯვებდე ხოლმე ომში, განაგრძოიუსტინიანემ: მაგრამ წარმომიგზავნა კი ეგ ორი კაცი, და მადლობა ღმერთს, მარტო ორი. მათი ერთმანეთის შური და ცილობა ბატონობას მე მარჩენს. ეგენი რომ ერთმანეთს დაუმევობრდნენ, ჩემი ბატონობა განპქრება. შენც ხომ ზეთს ასხამ მათს მტრობის ცეცხლსა?

— ეგ ძნელი არ არის. მათ შორის ბუნებითივე მტრობაა, როგორც ცეცხლსა და წყალს შუა ყოველს ზაფრიანს სიტყვას მაგ მახინჯისას გადავცემ ხოლმე ჩემს მეგობარს ანტონინას, ბელიზარის ცოლსა და მბრძანებელსა და ყოველს სიბრიუეს გმირის ბელიზარიისას ვაცნობებ ხოლმე მაგ წიწლაკიანს მახინჯსა. ამას თავი დავანებოთ, საჭმეს დავუბრუნდეთ. შენ გადაგიწყვეტია იტალიაში საომრად შესვლა. ვისა ჰგზავნი?

— რასაკვირველია, ბელიზარის. მან აღმითქვა ოც-და-ათი ათასის ისა ჰქმნას, რაც ნარჩესი დამპირდა ოთხმოცის ათასითა.

— შენ გვინდია მარტო ათასი სამყოფია?

— არა, ხოლო აქ ბელიზარის სახელია გარეული. იგი სახელისათვის ყოველს ღონეს იხმარს, რომ დაპირებული შეასრულოს, მაგრამ ვერ შეასრულებს კი.

— ეგ კარგი იქნება. მას აქედ რაც მან დაამარცხა ვანდალი, მის ამპარტავნებას საზღვარი აღარა აქვს.

— სამს მეოთხედს საჭმისას კი გააკეთებს. მაშინ მე უკუ-ვიხმობ მას; თვით წავუძღვები 60,000 კაცს, თან წავიყვან ნარჩესსა და ამ სახით, თითქო თამაშობით, დავასრულებ საჭმეს. მაშინ მეც სარდლად გამოვჩნდები და გამარჯვებელადაც.

— კარგად მოგიფიქრებია, ჰსოჭვა თეოდორამ გულ წრფელად აღტაცებულმა ქრმის ხერხიანად დაწყობილებისაგან.

— რასაკვირველია, ჰსოჭვა ოხვრით და სიტყვაწყვეტით იუსტინიანემ: — ნარჩესი მართალია, მე ამას ჩემის გულის სილრმეში ვჰერძნობ. სახელმწიფოსათვის უმჯობესია ჯერ სპარსი გავვედევნა, ეგ უფრო საჭიროა და ჭკუას ახლოც. აღმოსავლეთიდამ განსაცდელი რამ მოგველის.

— მოგველის და მოვიდეს; იმ ღრომდე ჯერ კიდევ ბევრი საუკუნოები გაივლის. მანამდე შენი სახელი გათქმული იქნება ქვეყანაზედ, ვითარცა აფრიკის და იტალიის დამპყრობელისა. ნუ თუ შენ უნდა იღვაწო საუკუნოთათვის? დევ ვინც შენს შემდეგ იქნებიან, მათ იწუხონ თავიანთათვის. მაგრამ აი რა, დაუმატა თეოდორამ და ჩაფიქრდა.

მისი პირმოთნე სახის ცბიერი მეტყველება მსწრაფლ შეიცვალა და საჭმიანი სანახაობა მიიღო.

— შენ არამც თუ მარტო იმპერატორი ხარ, შენ ამასთან ადამიანიცა ხარ და უნდა იფიქრო შენის სულისათვის უფრო მომეტებულად, ვიდრე სახელმწიფოსათვის. შენ ნაუწყი გაქვს, რომ ჩვენის მეფობის გაბრწყინვებისათვის და დიდებისათვის ჩვენ მრავალი ცოდვა და სისხლი დავიდევით. მართალია, ამ გზით მოპოებულის განძითა ჩვენ ვაშენებთ წმინდა, საჭრისტიანო სიბრძნის სახელზედ, ტაძარსა გამარჯვებისას; მარტო ეგ შეიქმს ჩვენს სახელს უქვდავად, მაგრამ... საიქიოსათვის, ვინ იცის სამყოფია ეგ თუ არა?... ყური მომიგდე—აქ მას თვალები ცივის ბრწყინვალებით აენთნენ: ამოვხოცოთ ურჯულონი და ქრისტეს მტერთა ლეშნი გავიდოთ საიქიოს მოწყალების ხიდად.

იუსტინიანემ მისი ხელი თვის ხელში შეკუმშა,

მძიმედ ამოიოხრა და ჯვარს მიაბჭინა თვალები.

— შენ კითხულობ მას რაც თვითონ მე გულის ფიცარზედ დაწერილი მქონდა. ეგ არის ის საგანი, რომელიც მე საომრად მიწვევს. ხოლო განა მე შემიძლიან, განა მე ღირსი ვარ ეგ დიდი და უწმინდაესი საქმე შევასრულო უფლისა ჩვენის სადიდებლად? მე ვეჭვობ, მე ვტორტმანობ....

და აქ უამბო თეოდორას თვისი ნახული სიზმარი. მე მივდიოდიო რაღაც ქვეყანაში, რომელზედაც შვიდი ბეჭი მიჩანდაო. ხის ძირს ეძინა ერთს საოცარის მშვენიერების ქალსაო.

— გარნა განჰშუყვიტა მან ამბავი და შეხედა თეოდორას მოუსვენარის თვალითა: შენ წინადვე ნაუწყი გაქვს, რომ მე სიზმარს ვამბობ და სიზმარი ხომ იცი თვით რჯულია და მასზედ არა ვის ძალა არა აქვს.

ამის შემდეგ განაგრძო იუსტინიანემ თავისი სიზმარის მბობა:

მე შევდეგიო იმ ქალის წინაშე და ამ დროს უეცრად ჯაგებიდამ გამოვარდა დათვიოდა იმავე წამს მეორეს მხრით გამოვიდა გველიო სისინით. ქალმა გაიღვიძაო და ჩემი სახელი ახსენაო. მე მივვარდი ქალსაო, გადავეხვიევო და ერთად გავიქცევითო. როცა უკან მოვიხედეო, ვნახე, რომ დათვს გველი გაღუდებეჭია და გველს კიდევ სასიკვდილოდ დაუშხამავს დათვიო.

— ქალიღა? იყითხა თეოდორამ.

— ქალმა მაკოცა მე შუბლზედ და თვალიდამ დამეკარგა. მე ტყუილ-უბრალოდ ვიწვდიდი მისკენ ხელებს. ქალი იგი, დაუმატა მან ჩქარა, თითქო სურსო თეოდორას დაასწროსო, — ხომ იტალიაა?

— უეჭველად, მიუგო დინჯად თეოდორამ, მაგრამ გული მისი კი მძიმედ ჰქონდა.

— შენ მართალი ხარ, ჩემო ჭკვიანო მეუღლევ, დაიძახა იუსტინიანემ გულზედ მოშვების ხმითა: შენ ხარ მონათობელი ჩემის სულისა. მაშ გათავდა-ბელიზარი იტალიაში მიდის. მაგრამ აი კიდევ რა.

აქ იუსტინიანემ თვალები ძირს დაუშვა და ხელი ჩავლო თეოდორას ხელსა.

აი, ეხლა ყველასფერს შევიტყობ გაიფიქრა თეოდორამ.

— როცა ჩვენ ძირს დავცემთ გოთთა სამეფოსა და მათთა დედუფლის შემწეობით ბინას მოვიყიდებთ რავენნაში, მაშინ რა... რა გზა მივცეთ დედუფალსა?

— რა გზა მივცეთ? მიუგოლიტონად თეოდორამ: იგივე, რაც ტახტიდამ გადმოგდებულს ვან-დალთა კოროლს მივეცით. დედუფალი მოვა აქ, ბიზანტიაში.

იუსტინიანემ ამოიოხრა.

— მე მოხარული ვარ, რომ შენ აგრე გსურს, უთხრა გულმართალის სიხარულით და ხელი მოუჭირა მის პატარა, თეთრსა და მშვენიერს ხელსა.

— მე ამაზედ მეტიცა მსურს, განაგრძო სიტყვა თეოდორამ: — საჭიროა დავაჭეროთ იგი, რომ მას აქ სიყვარულით და ალერსით დახვდებიან. მე იმას ნათესაურს წიგნს მივწერ, მოვიწვევ ჩვენთან და ვაუწყებ, რომ გაჭირებაში მას ყოველთვის ბინა ექმნება ჩემს გულში.

— ოჰ, რა რიგად გამიადვილებ მაგით ჩვენს გამარჯვებასა. ასული თეოდორიხისა განშორდება თვის ხალხსა და ჩვენებრ გადმოვა!

— ხოლო ბელიზარი ეხლავ კი არ უნდა მიადგეს მხედრობითა. ჯერ მახე უნდა დაუგოს.

— მახეს ვინ დაუგებს.

— მახეს დაუგებს ის, ვინც იმათში ყველაზედ უფრო ჭკვიანი კაცია, ესე იგი, ცეტეგ ცეზარიუსი, რომის პრეფექტი, ჩემის ყმაწვილ-ქალობის ამხანაგი.

— ძალიან კარგი, მაგრამ მარტო მას არ უნდა ეგ ვაქმნევინოთ. იგი რომაელია, ჩემი ქვეშევრდომი არ არის; მე იმას ყველაფერში ვერ მივენდობი. სხვა კიდევ ვინ გავგზავნოთ?

— ყური მომიგდე, იუსტინიანევ, — ჰსიტება თეოდორამ მცირეს დუმილის შემდეგ: შენ კარგად იცი, რომ მე შემიძლიან გულიდამ ამოვილო ჩემი

პირადი მტრობა და დავიწყებას მივცე, როცა საქმე სახელმწიფოს შეეხება. მე თვითონ გირჩევ გაგზავნო იტალიაში ჩემი დაუძინებელი მტერი: პეტროსი, ბიძაშვილი ნარზესისა, ცეტეგის თანა-შეზღიული ამხანაგი.

— თეოდორავ, დაიძახა იუსტინიანემ სი-სარულით შენ სწორედ ღვთისაგან ხარ ჩემთან წარმოგზავნილი. ცეტეგი, პეტროსი, ბელიზარი!... ბარბაროზნო, თქვენი აღსასრულიც ამაშია!..

—

მეორეს დილას თეოდორამ კარგს გუნებაზედ გაიღვიძა. მის ქვეშაგების ახლო იყო ვერცხლის დიდი თასი სამფეხაზედ მდგარი და ის თასი წარმოადგენდა ოკეანეს. თეოდორამ წამოიჭია ლბილის დოშავიდამ ბალიშებზედ, რომელნიც იყვნენ პონტოის წეროების ყუით გატენილნი და მრქალი აბრეშუმის საურებით მორთულნი; წაჰავდა თასსა, ამოიღო მუნით ოქროს ბურთი და ისევ უკანვე თასში ჩააგდო, მოისმა ზარივით ხმა და ამ ხმაზედ შემოვარდა სირიელი შევალი-ქალი. მხევალმა გულზედ ჯვარედინად ხელები დაიკრიფა, მივიდა ფანჯარასთან, გადაჰავდია შვინდის ფერი ფარდა ჩინურის აბრეშუმისა, მერე ამოიღო იბერიის ლბილი და ფაფუქი ღრუბელი, ბროლის თასიდამ, საღაც სახედარი რძე იდგა და დაიწყო იმ ღრუბლით ფრთხილად ჩამოწმენდა თეოდორას სახიდამ ზეთით შეზელილის ცომისა, რომელსაც ღამით თეოდორა იდებდა ხოლმე სახესა და ყელზედა, როცა ეს გაათავა, მხევალი დაეცა მუხლზედ ქვეშაგების წინ, მოიხარა ტანში და მერჯვენა ხელი მიაწოდა თეოდორას. თეოდორამ ხელს ხელი მოჰკიდა, აუჩქარებლად ფეხი დააღგა მხევალს ზურგზედ და ისე გაღმოხტა იატაქზედ. მხევალი მსწრაფლ ფეხზედ წამოხტა და თავის ქალ-ბატონს, რომელსაც საოცრად წმინდა ნაქსოვი პერანგი ეცვა მხოლოდ, წამოასხა ვარდის ფერი დილის წამოსასხამი. მას შემდეგ მიწამდე თავის მოხრით თაყვანი-ჰერი ქალ-ბატონსა, გაბრუნდა კარებისაკენ, დაიძახა

ხმა მაღლა: აგავე! და გავიდა.

ამ ძახილზედ შემოვიდა ახალ-გაზდა, ლამაზი თესსალიელი ბერძნის ქალი, აგავე. მან მიუგორა ქალ-ბატონს პირის-საბანი სტოლი, მრავალის უქრებით და მინებით სავსე და დაუწყო წმენდა სახისა, წელისა და ხელისა და სხვა და სხვა გვარის ღვინითა და წამლებითა.

— შუადღისას დიდი საბანებელი გეჯა მზად იყოს! უბრძანა თეოდორამ და გადაჭდა ვეფხისტყავით დაფარებულს სკამზედ. ხოლო აგავემ აავსო ძვირფასის ხის გეჯა სხვა და სხვა სურნელიანის წყალითა, ნაზად ასწია პატარა, თოვლივით თეთრნი ფეხი ქალ-ბატონისა და გეჯაში ჩაუდგა. მერე მოხადა თავიდამ ბადე ოქრომქედისა, რომლითაც თეოდორას ღამით შეეკრა თვისი შავად ბრწყინვალე თმა, და ხშირი თმა აბრეშუმისავით ლბილი გადმოეფინა მხრებსა და გულ-მკერდზედა; შემოარტყა მეწამულის სარტყელი, ფეხებამდე დაბლა თავი დაუკრა, დაიძახა: გალატეავ! და გავიდა გარედ.

შემოვიდა ხნიერი მხევალი დედა-კაცი, რომელიც ძიძაც იყო, გამდელიცა და ამას გარდა ერთი სხვა ხელობაცა ჰქონდა, — მაჭანკალიც ყოფილიყო თეოდორასი მაშინ, როცა ეს ამ უამაღ ბრწყინვალე დედუფალი, ასული უბრალო გუშაგისა ცირკში, ზიზილ-პიპილებით მორთული, გერ კიდევ თითქმის უასაკო, იყო მთელის ცირკის გულ გარყვნილ საყვარლადა.

გალატეამ გამოიარა ყოველივე ჭირი და ლხინი თავისის ქალ-ბატონისა, მისი ნამუს დამხობაცა, მისი აღმატებაცა, ყოველივე მისი ბიწიერება ნახა, იციდა ყოველივე ის, რაც ჩაიდინა თეოდორამ, რომ იმპერატორის მეუღლობამდე მიღწეულიყო.

— როგორ გეძინა, ჩემო გვრიტო! ჰქითხა გალატეამ, როცა მიართვა თეოდორას სადაფის თასითა სხვა და სხვა სურნელებით შეზავებული ვარდის წყალი, რომელსაც სიცილის ქალაქი ადანი ყოველ წლივ ბლომად გზავნიდა ხოლმე ხარჯის მაგიერ თეოდორას კეკლუციბისათვის მოსახმარად.

- კარგად, მე ის სიზმარში ვნახე. — ვინ? ალექსანდრე?
- არა, სულელო, ლამაზი ანიცი.
- ეს კარგი, მაგრამ ალექსანდრე დიდი ხანია ხვრელში იცდის.
- უჰ, რა მოუთმენელია! ღიმილით ჰსთქვა თეოდორამ: უთხარ მოვიდეს.

თვითონ წამოწვა გრძელ ტახტზედ, და გადიფარა ალის ფერი საბანი აბრეშუმისა ისე კი, რომ პატარა ფეხის თითების წვერები გამოყოფილი ჰქონდა.

გალატეამ გადარაზა დიდი შემოსავალი კარები და ოთახის კუთხეს მიჰმართა, საცა უშველებელი ლუსკუმა იდგა იუსტინიანესი. აქ პატარა ღილსა ხელი დაჭირა, ლუსკუმამ იქით მიიწია და გამოჩნდა ფარდით ჩამოფარებული ხვრელი კედელში. ფარდა აიწივა და ოთახში შემოვარდა ახალგაზდა დესპანი ალექსანდრე.

ალექსანდრე თეოდორას წინ მუხლზედ დაეცა, მივარდა ხელს და მხურვალებით კოცნა დაუწყო. თეოდორამ წყნარა გამოაცალა ხელი.

— შენვე ჰსთქვი, ალექსანდრე! უთხრა თეოდორამ და გადიგდო უკან თავი, — ხომ დიდი გაუფრთხილებლობაა ჩემგან, რომ საყვარელი კაცი დაგისწარ მაშინ, როცა ჭერ მორთულიც არა ვარ, მაგრამ მე შენ ეგ აღგითქვი რავენნაში რომ მიდიოდი იმას წინად, შენც სწორედ გითხრა, ამ ჭილდოს ღირსი ხარ. შენ ბევრი განსაცდელი მოგელოდდა ჩემის გულისათვის.

— მაგრად დამიწან! დაუყვირა თეოდორამ გალატეას, რომელიც ვარცხნიდა ხოლმე და უწინავდა თეოდორას მშვენიერს თმასა.

— დიალ, შენ ჩემის გულისათვის ბევრს განსაცდელს მიეცი თავი, უთხრა მერე ალექსანდრეს და მიაწოდა ორი თითი მარჯვენის ხელისა.

— ჰო, თეოდორავ! დაიძახა ჭაბუქმა, მარტო ამ ერთის წუთისათვის, მე მზადა ვარ თუნდა ათ ჭერ მოვკვდე.

— ეგ ხომ, მაგრამ ერთი ეს მითხარ, ჰკითხა თეოდორამ: რატომ არ მომიტანე წიგნის პირი

იმ ბარბაროზთა ქალისა იუსტინიანესთან მოწერილი?

— მე ღონისძიება არა მქონდა შენთან კაცი გამომეგზავნა ხომალდიდამვე. ხოლო გუშინ გადმოვედ ხომალდიდამ თუ არა, მაშინვე გაცნობე, რომ საჩუქართა შორის მისის სახის სურათიც არის. შენ სწორედ კაი დროს მოგვასწარი.

— დიალაც, მაგრამ ვინ იცის რა დამემართებოდა მე რომ იუსტინიანეს კარის მცველს არ ვაძლევდე სასყიდელს ერთი ორად მომეტებულს მასზედ, რასაც იუსტინიანე აძლევს? გარნა შენ, გაუფრთხილებელო დესპანო, მეტად უხერხოდ მოიქეცი, როცა გოთთა დედოფლის ხნიერობაზედ ჩამოვარდა სიტყვა.

— ჰო მშვენიერო ასულო კიპრიდისავ, რამდენი ხანი იყო შენ არ მენახე! მე თავში არა მომდიოდა რა, თვინიერ შენის დამათრობელის მშვენიერებისა.

— მაშ თუ ეგრეა, მე დამშთენია მხოლოდ ის რომ შენ მოგიტევო. შავი ზოლი, გალატეავ! შენ როგორც არშიყი უკეთესი ხარ, ვიდრე როგორც სახელმწიფო კაცი, ამისგამო შენ აქ დაგარჩენ და რავენნაში კი გავგზავნი უფრო ძველს დესპანს. ესე კარგი არ იქნება? გაულიმა თეოდორამ და თვალი უყო.

ალექსანდრე მივარდა და ზედ დაეჭონა მის ალის ფერს ტუჩებსა.

— შეპდეგ! შენ დიდებულების წინააღმდეგ დანაშაულობას ჰსხადი, უთხრა თეოდორამ და წყნარად შეეხო მარაოთი მის ლოყას. — დღეს ეგ იმყოფინე. ხვალ შეგიძლიან კიდევ მოხვიდე და მომითხრა ამბავი იმ მშვენიერის ბარბაროზის ქალისა. გეუბნები, წადი მეთქი. მე ეს საათნი სხვას უნდა ვაკუთვნო.

— სხვასაო! წამოიძახა ალექსანდრემ და ერთის ფეხით უკან დაიწია: — მაშ მართალია, რასაც ჩურჩულით ლაპარაკობენ ბიზანტიაში? შე, ორგულო....

— თეოდორას მეგობარს იჭვნეულობის ნება არ უნდა ჰქონდეს, გაიცინა თეოდორამ.

ეგ სიცილი კარგი სიცილი არ იყო.
— ამ ხანად ნურას ინაღვლი, შენ თვითონ ნახავ
შენის თვალით. წადი.
გელატეამ ხელი ჩაჰქიდა მხრებში და
მოატრიალა ლუსვუმისაკენ.

(შედეგი ქუთა

გაზეთებიდამ ამოქრევილი ამბები.

— დრეზდენში ხმა გაარდა, რომ პაპი გარდაიცვალა. რვას მეტათვეს პარიჟიდამ, საცა ეგ ხმა გავრცელებულიერ, ტელეგრაფით ეკითხნათ მართალია, ეგ ხმა, თუ არაო. პასუხათ მოსვლიათ, რომ პაპი მშვიდობით ბძანდებათ. საკუთრი კორესპონდენტი ნემეცურის გაზეთისა „National Zeitung“ იწერება პარიჟიდამ რვას მეტათვეს: „დღეს მქონდა შემთხვევა და წავიკითხე სარწმუნო ტელეგრამა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ პაპი ისე დასუსტებულიათ, რომ ერველს წუთს უნდ მის გარდაცვალებას მოვველოდეთო.“

— ბარონ ჰოლც დაუბეჭდია ბერლინში თავისი თხეზულება, რომლისათვისაც ეს დირს შესანიშნავი სახელი დაურქმევია: „ლეონ გამბეტა და მისი ლამქარი“. ამ თხეზულებაში გამოუვანილია სარწმუნო საბუთებზედ დამეარებული მთელი სამხედრო მოღვაწეობა გამბეტასი იმ დღიდან, როცა ეს სახელოვანი რესპუბლიკანელი ჰაერისგემით გამოფრინდა პარიჟიდამ, ამის გათავებამდე. თვითონ გამბეტას ბარონ ჰოლცი დიდის თანაგრძნობით იხსენიებს, აქებს ოთვორც იმისთვისა კაცს, რომელიც სავსეა მდიდარის ნიჭიერებით და უმაღლესის მამულის-მოუვარეობითა, ამასთანავე იხსენიებს მის ნაკლელევანებასაც. მაგალითებრ იმ ადგილას, საცა ლაპარაკობს გამბეტას სამხედრო მინისტრობაზედ და სარდლობაზედ, ბარონ ჰოლცი ამბობს: „უქცევლია გამბეტას ბევრი არა აკლდა რა იმისთვის, რომ საფრანგეთის ახალგაზრდა დიქტატორობიდამ გამხდარიერ უნირატეს კაცად ისტორიაში, ბევრი არა აკლდა რა, მაგრამ მაინც ცოტა რაღაც აკლდა.... გამბეტა მარტო სამხედრო მინისტრობას უნდა

დაშვერებოდა. მაგრამ, არა: მას ეგონა, რომ მისთვის ეველა შესაძლებელია, ეველა ადვილად საქმნელია და მოიწადინა სარდლობის დაფნის ფოთოლიცა_და აი ეს იურ კიდევ დასტერესი ერველის მისის შეცდომისა. მას ზომიერება აკლდა, მას არ ჰქონდა ის თავ-შემაგრება გეოლ-გონიერის კაცისა, რომელიც თავის დღეში ხელს არ მოჰკიდებს საქმეს, თუ ვერ შეპსძლებს, რომ საქმე სრულიად ხელში ჩაიგდოს.“

— შეტერბურგის ოლქის სასამართლოში 30 ივნისს ირჩევოდა საქმე სამსახურიდამ გადადგომილის გოლმშესის სექტემბრის აღექსანდრე კატოვგვესისა, რომელსაც ბრალს ჰსდებდნენ მასზედ, რომ სიგელის დახვა უნდოდათ. ბრალდებული კატოვგვესი მოხუცებული კაცია, 70 წლისა. როცა სასამართლოს თავ-მჯდომარემ ჰკითხა რა საქმემი ხართო (ესე იგი, რა ხელობის კაცი ხარო), მან უპასუხა: ოც-და-ათი წელიწადია მე ამ დავის საქმემი ვარო და ბოლოს ისიც დამემართაო, რომ ამ დავამ დამნაშავეთა სკამამდე მიმაღწევინაო.

— ერთს ინგლისურს უურნალში „Mind“ დაბეჭდილია შეტად ღირს-შესანიშნავი წერილი გამოხენილის შენიერის ჩარლზ დარკინისა. ამ წერილის საგანი ის არის თუ როგორ ესხნება ბავშვს ცნობიერება დაბადების შემდეგ. თავისის დასკვნის საბუთად დარკინს მოჰკავს ერველივე ის, რაც შეუნიშნავს თავის შვილზედ ამ ოცდა თორმეტის წლის წინად.

თუ დრო მოგვეცა, ამ ფრიად ღირს-შესანიშნავი წერილს დარგინისას ვრცლად ვაცნობებთ ივერიის მკითხველ თა.

— СЕВ. ВЕСТНИК-ში ტფილისიდამ კორ-რესპონდენტი 26 იგნისიდამ ჰსწერს, რომ აქაურს სახალხო დღეობის გამმართველს კამიტეტსაო როგორდაც ბედი არ შეპსტევსო. თუმცა ამ კამიტეტმა შემოსავალ-გასავალის ნუსხა დაბეჭდაო, მაგრამ მაინც მოგროვილის ფულების წინდაუზედავად ხარჯვას ჰსწამებენო და ამ საგანზედ ურიგო ხმები აქამოდექალაქმი არ მიმწედარაო. რაც უნდა ურიგო მოქცეულიერ ეს კომიტეტი ამში დაჭრილთათვის მოგროვილის ფულის შესახებ, მაინც კიდევ იმოდენა სიკეთე მოიქმედაო, რომ ტანჯულთა მმათათვის

ოთხას თუმანზე მეტი ფული მოაგროვათ.

— იგივე კორრესპონდენციი ჰქონის იმავ გაზეთსა (№ 64) „ბაქოს გუბერნიაში მცხოვრები მაჭმადიანები მაღანა აგის თვალით უკურებელ ერველს ფერს, რასაც კი რუსის სახელი ჰქვიან; თათრებთა და მაღანათა შორის ხშირად მოხდება ხოლმე ჩხუბი, რომელიც ცემა-ტექსით თავდება. შემასი მთელი ერთი გუნდი მაჭმადიანთა დაუცა სადგომს, სადა სამხედრო ავეჯულობა აწევია იმ აზრით რომ იქ იძოვის თოფ-იარაღს და ტევია-წამალსა, მაგრამ მგელის ზარბაზნების მეტი იქ ვერა ნახა რა, ისიც მიუარმოვარა და ისე წავიდა. იქაურმა მხედრობის უფროსმა (Воинский Начальникъ) და სამოქალაქო წეობილების მოხელეთა, მაშინათვე გამოუცხადეს მაჭმადიანების გუნდსა, რომ თუ არ დაიმლებითო და ოქენეს მოთავეს ხელში არ მოგცემთო, ციხიდამ ზარბაზნებს დაუშენო ქალაქსაო და ქვა-ქვაზე აღარ დაგაუენებოთ. გუნდი დაჭმორჩილდა და მოთავე ამ არეულობისა ხელში მიშნდა. მოთავე იქ იქაური მოლლა, რომელიც ხალხს თურმე უქადაგებდა მოაგრობის განდგომასა და სამდოთო ომიანობასა.

— ლონდონის უნივერსიტეტის საბჭოს გადაუწევებია, რომ მიუცემ ნება ქალებსა კოველგვარი მეცნიერება შეისწავლონ და შესწავლების ნიმუშად ჯეროვანი მოწმობა მიიღონ.

— ერთს მეურნალს რუსეთში გამოუკვლევია და აღმოუჩენია, რომ ზამბაზიდამ შეიძლება იმისთვის წამალი გაკეთდეს, რომელიც ქინაქინის მაგიერობას გახწევსა და ქინაქინაზე ბევრად იეფი იქნებათ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტფილისში, ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება:

ბოგია მეჩანიკოვი, ლეგენდა თ. აკაკი წერეთლისა. ფასა ერთი შაური.

დავრიშიანი, ანუ ზღაპრული მოთხოვნა, გამოცემა პირველი. ფასი შვიდი შაური.

ისყიდება ქალაქს, ვართანოვის და გრიჭუროვის წიგნის მაღაზიებსა და „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გორს, ფარნაოზ ნათევისას.

ახალციხეს, ალექსეევ-მესხიევისას (მიროვო-პოსტედიკი)

ლეშნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაბან
ფასი 20 კ.

ზ. ნ. ანთონოვის თხზულება, ფასი 1 მ.

შაროული ანდაზები, ფასი . . . 10 კ.

მეცნ ლირი, ტრაგედია შესპირისა ფასი 60 კ.

ექვთიმე ხელაძის სტამბაში იბეჭდება და მალე გამოვა სამართლის ფიბი ქათულ ენაზედ, სამსჯავრო ფესღებანი 20 ნოემბრის 1864 ფლისა, მოთავე განმარტებით, განაჩენებით კავკასიის დეპარტამენტა მმართებლობით სენატისა, თარგმნილი ნიბოლოვოზ სიმონის-ძის გამრჩევლოვის-მიერ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Июля 1877 г. Типография Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდეის ავტორი,

რედაქტორ-გამომცემელი ნუგზან ჭიათურაშვილი

სარედაქტო ჯგუფი: ნელი დარბაძე, ნინო ქერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნჩაძე, დალი გოჩიტაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი დაშა ჩხერიძე

მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი დაშა ჩხერიძე

პროექტის მხარდაჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, — განვითარებითი გამოცემა დაყმაგულია 2011 წლის 2 აგვისტოს

სამომავალი გას „სამართლებრივ სახელი ეკინი ელოუს“ საიდენტიფიკაციო №404852174

მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com